წერილის ნომერი: **73-01231953470**
თარიღი: **14/07/2023**

ადრესატი: სოფიკო აფციაური
პირადი ნომერი: 22001021519
მისამართი: თბილისი, ნუც. პლატო

ქალბატონო სოფიკო,

თქვენი 2023 წლის 04 ივლისის N19/01231853761-73 განცხადების საფუძველზე გაცნობებთ, რომ სსიპ "ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო" შეიქმნა 2015 წლის 1 იანვარს და შესაბამისად ამ დროიდან ხდება მუნიციპალურ თავშესაფარში შემოყვანილი ცხოველების აღრიცხვა. სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო" ცალკე არ აწარმოებს სტატისტიკას მუნიციპალურ თავშესაფარში ადამიანის მიერ დასახიჩრებული ძაღლების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ წამების ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი გახდნენ. მუნიციპალურ თავშესაფარში, რეგლამენტის შესაბამისად, ხდება შემოყვანილი ცხოველისთვის სტატუსის მინიჭება (ვიზუალური დათვალიერებისას ცხოველს თუ აღენიშნება ფიზიკური დაზიანება, რომელიც ხშირად შესაძლებელია გამოწვეული იყოს ავტოსაგზაო შემთხვევით ან ადამიანის მხრიდან სასტიკი მოპყრობით) მას ენიჭება „ტრავმირებული" ცხოველის სტატუსი და უტარდება შესაბამისი პირველადი დახმარება.

„ტრავმირებული ცხოველის" დაზიანების გამომწვევი კონკრეტული მიზეზის დადგენა მუნიციპალურ თავშესაფარში არ ხდება. არ იწარმოება სტატისტიკა ტრავმირებული ცხოველებიდან რამდენი იყო ცივი იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღით ან პნევმატური იარაღით მიყენებული დაზიანებებით. მსგავსი დაზიანებების დადგენა (წამება, სასტიკი მოპყრობა, ცეცხლსასროლი და ნაკვეთი ჭრილობები და ა.შ) შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიციური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად, აღნიშნული პროცედურა კი მუნიციპალურ თავშესაფარში არ ტარდება.

2017 წლის 29 აგვისტოდან სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"-მ დაიწყო მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოება, შესაბამისად აღნიშნული პერიოდიდან გიგზავნით მუნიციპალურ თავშესაფარში გადმოყვანილი, „ტრავმირებული" ცხოველების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას:

1) 2017 წლის 29 აგვისტოდან - 197 ცხოველი

2) 2018 წელი - 737 ცხოველი

3) 2019 წელი - 1480 ცხოველი

4) 2020 წელი - 1382 ცხოველი

5) 2021 წელი - 1468 ცხოველი

6) 2022 წელი -1449 ცხოველი

7) 2023 წლის 12 ივლისამდე - 851 ცხოველი.

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი